საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი **2011 წლის 21 ნოემბერი**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 81

„ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლისათვის მისაღები კონტინგენტისა და პროგრამული დაფინანსების განსაზღვრის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2011 წლის 24 ოქტომბრის № 74 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ი) ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის „ე" პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლისათვის მისაღები კონტინგენტისა და პროგრამული დაფინანსების განსაზღვრის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2011 წლის 24 ოქტომბრის № 74 დადგენილებაში, კერძოდ:

- პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნას დრამისა და კინოს სამსახიობო (მიზნობრივი ჯგუფი) – 5 ადგილი.

- დრამისა და კინოს სამსახიობო სპეციალობას დაემატოს 4 ადგილი და მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს - 12 ადგილით;

2. შეტანილ იქნას ცვლილება „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლისათვის მისაღები კონტინგენტისა და პროგრამული დაფინანსების განსაზღვრის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2011 წლის 24 ოქტომბრის № 74 დადგენილების მე-4 პუნქტში, კერძოდ:

- ამოღებულ იქნას მე-4 პუნქტიდან დრამისა და კინოს სამსახიობისათვის (მიზნობრივი ჯგუფი) გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების ადგილები.

- დრამისა და კინოს სამსახიობო სპეციალობის პროგრამული დაფინანსებისათვის ნაცვლად 2 ადგილისა, გამოიყოს 3 ადგილი;

3. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავჯდომარე **ე. მესხია**